ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №51

24 ივლისი, 2025 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე, გურამ ოქროპირიძე და ბარბარა ჯიმელი სულაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა ვახტანგ ბალავაძის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (19/032515620-03; 05.06.2025)
მომხსენებელი: თამარ ბალავაძე
თანამდებობა: განმცხადებელი
2. **საკითხი:** განათლებისა და კულტურის კომისიაზე წარმოდგენილი კორესპონდენციის განხილვა ლეოპოლდ (ბოჩია) ძაძამიძის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (19/032520336-03; 22.07.2025)
მომხსენებელი: ნუგზარ უბერი
თანამდებობა: განმცხადებელი
3. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-03252031-03; 22.07.2025)
მომხსენებელი: მაკა ნასრაშვილი
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე
4. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (12-032517414-03; 23.06.2025)

მომხსენებელი: მაკა ნასრაშვილი

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.**

კახაბერ ლაბუჩიძემ კომისიის წევრებს გააცნო განათლებისა და კულტურის კომისიაში წარმოდგენილი წერილი, რომელიც შეეხებოდა ვახტანგ ბალავაძის საცხოვრებელ სახლზე მემორიალური დაფის განთავსების საკითხს.

თავმჯდომარემ კომისიის წევრებსა და განმცხადებელს განუმარტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების სამართლებრივი პროცედურები, კერძოდ აღნიშნა, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობს თბილისის მერიის მიერ შექმნილი კომისია. საკითხის ინიციირებისთვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს თბილისის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა; მესაკუთრის თანხმობა; მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაცია შესაბამისი უწყებებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მემორიალური დაფის განთავსება მოთხოვნილია იმ შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით, ვახტანგ ბალავაძე თბილისში, ნინო რამიშვილის N2-ში, ცხოვრობდა. თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ორგზის ჩემპიონი (1954, 1957), მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი (1959). 1956 წლის მელბურნის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ დამსახურებული მწვრთნელი. საერთაშორისო კლასის არბიტრი. თბილისის საპატიო მოქალაქე (1999). „ღირსების ორდენის“ (1966) და ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენის (2002) ლაურეატი.ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, დაჯილდოვდა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის FILA–ს ოქროს ორდენით (1997), ხალხთა მეგობრობის ორდენით (1980), საქართველოში სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, დაჯილდოვდა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ორდენით (2006). ვახტანგ ბალავაძეს მიღებული აქვს შემდეგი ჯილდოები, პრემიები და პრიზები: 2002 - ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი; 1999 - თბილისის საპატიო მოქალაქე; 1996 - ღირსების ორდენი; საქართველოში ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი

განსაკუთრებული წვლილისა და ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდაში დიდი დამსახურებისათვის; 1976 - საპატიო ნიშნის ორდენი; 1972 - საპატიო ნიშნის ორდენი; 1971 - სსრკ დამსახურებული მწვრთნელი; 1955 - სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს: თამარ ბალავაძემ.

თამარ ბალავაძემ დიდი მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს პროცესში აქტიური ჩართულობისა და მხარდაჭერისთვის. განმცხადებლის განმარტებით ვახტანგ ბალავაძე ნამდვილად იმსახურებს მემორიალური დაფის განთავსებას ქვეყნის წინაშე თავისი დამსახურების გათვალისწინებით, შესაბამისად კომისიის წევრებს თხოვა საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს ვახტანგ ბალავაძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: ლეოპოლდ (ბოჩია) ძაძამიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ.

კახაბერ ლაბუჩიძის განცხადებით ლეოპოლდ (ბოჩია) ძაძამიძე იყო საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი. პერსონალური გამოფენები: 1967 წელს თბილისი, 1982 წელს თბილისი, 1988 წელს თბილისი, 2022 წელს თბილისი. გამოცემულია მხატვრის სრული კატალოგი. 1960-1962 წწ შემოქმედებითი მივლინება ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. 1958-1964 წწ ელენე ახვლედიანის შემოქმედებითი ჯგუფის აქტიური წევრი. 1955 წლიდან მონაწილეობას ღებულობდა რესპუბლიკურ საკავშირო და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებზე. 1964 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის წოდება. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია 1947 წელს. იყო ა. ციმაკურიძის მოწაფე. შექმნილი აქვს პეიზაჟურ-ფერწერული ტილოები - სვანეთის, ბორჯომის ხეობის, კახეთის, ქუთაისის, ყაზბეგის სერიები; დაღესტნისა და ბალტიისპირეთის პეიზაჟები. მნიშვნელოვანი ნაწარმოებები: "შემოდგომა"(1960), "წისქვილთან" (1960), "ყაზბეგ" (1965, ყველა საქართველოს სსრ სურათების გალერეა, თბილისი), "მეგრული სამზადი სახლი" (1961), "ზამთარი" (1960), "ძველი ქუთაისი" (1962, ყველა საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, თბილისი) და სხვა. ფერმწერი, პეიზაჟისტი. გარდაიცვალა 1966 წელს თბილისში.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
ნუგზარ უბერმა.

ნუგზარ უბერმა დიდი მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებს პროცესში აქტიური ჩართულობისა და მხარდაჭერისთვის. განმცხადებლის განმარტებით ლეოპოლდ ძაძამიძე ცხოვრობდა სახელგანთქმული მხატვრების სახლში, როგორებიც იყვნენ: აპოლონ ქუთათელაძე, ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე, გურამ (ხიტა) ქუთათელაძე. ლეპოლდ ძაძამიძეს 42 წლის ასაკში მიენიჭა დამსახურებული მხატვრის წოდება, ხოლო 44 წლის ასაკში ტრაგიკულად გარდაიცვალა. აღსანისნავია, რომ დიმიტრი შევარედნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით და მხატვრის ოჯახის მონაწილეობით ლეოპოლდ ძაძამიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი რეტროსპექტული გამოფენა გაიხსნა. ლეოპოლდ ძაძამიძის გარკვეული სურათები დაკარგულია, ნაწილი კი სხვადასხვა ადამიანების კერძო საკუთრებას წარმოადგენს, თუმცაღა გამოიცა კატალოგი, რომელშიც ასახულია მისი თითქმის ყველა სურათი.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს ლეოპოლდ (ბოჩია) ძაძამიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მესამე საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს მაკა ნასრაშვილს.

მაკა ნასრაშვილის განმარტებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/ რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის“ მოქმედი რედაქციით, რიგ საკითხებთან, არ არის დაზუსტებული და განსაზღვრული პროცესუალური დეტალები რაც იწვევს გარკვეულ უზუსტობას. კერძოდ, მოქმედი რეგულაციები სრულად არ ითვალისწინებს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციების განთავსების და გადაადგილების დროს წამოჭრილ მნიშვნელოვან სამართლებრივ და პროცესუალურ დეტალებს, რაც პრაქტიკაში ქმნის დაბნეულობას, უპირატესად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით.

წესის მოქმედი რედაქციით, კოორდინაციის კუთხით გარკვეული ხარვეზები იჩენს თავს სხვადასხვა უწყებებთან კომუნიკაციის დროს. კერძოდ, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და კულტურის სამინისტროს ჩართულობა არ არის ფორმალიზებული, რაც აუცილებელია პროცესის სამართლებრივად წმინდად წარმართვისა და პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.

ცვლილებები აუცილებელია, რათა გაუმჯობესდეს პრაქტიკა უწყებათშორის კოორდინაციაში, გაიზარდოს კულტურული ფასეულობის დაცვის ხარისხი, მკაფიოდ განისაზღვროს სამართლებრივი ჩარჩო, მაგალითად — კომპოზიციის უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევაში გამონაკლისის დაშვებით საჯარო ინტერესის დაცვა გახდეს შესაძლებელი.

წესის ახალი ნორმები გააძლიერებს არქიტექტურული და კულტურული სივრცის შინაარსობრივ განვითარებასა და მოაწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი: 20/02/2020; სარეგისტრაციო კოდი: 450050020.35.101.016690) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის“:

ა) მე-2 მუხლის:

ა.ა) „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია – პიროვნების, ფაქტის, ისტორიული ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენის უკვდავსაყოფად, სხვადასხვა მასალით შექმნილი ობიექტი, რომელიც კულტურულ ფასეულობას მიეკუთვნება: ძეგლი (ქანდაკება, სკულპტურა), ობელისკი და რომელზეც საქართველოს სახელმწიფო ენაზე მიეთითება შემდეგი ინფორმაცია: ავტორი, არქიტექტორი, განთავსების თარიღი და მასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ინფორმაცია არქიტექტურულ-მხატვრულ კომპოზიციაზე, საქართველოს სახელმწიფო ენასთან ერთად, შესაძლებელია შესრულდეს სხვა ქვეყნის სახელმწიფო ენაზე;

ა.ა) „ე“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სამინისტრო - საქართველოს კულტურის სამინისტრო.“;

ბ) მე-3 მუხლის:

ბ.ა) მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა, ასევე ინფორმაცია

უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური ან/და ვიზუალური დაცვის არეალში მდებარეობის შესახებ;";

ბ.ბ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ.გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ითხოვს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის გადაადგილებას სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ფოტო და გადაადგილების შემდგომი ფოტომონტაჟი, საავტორო უფლების მქონე პირის თანხმობის წერილი, აგრეთვე, არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის გადაადგილებასთან დაკავშირებული სამუშაოების დაფინანსების წყაროს შესახებ ინფორმაცია.";

გ) მე-4 მუხლის:

გ.ა) მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]" ქვეპუნქტი:

„ა[1]) სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური ან/და ვიზუალური დაცვის არეალში მდებარეობის შესახებ.";

გ.ბ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) მე-5 მუხლს, მე-4 პუნქტის შემდგომ, დაემატოს შემდეგი შინაარსის „4[1]" პუნქტი:

„4[1]. კომისიის მიერ დადებითი რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში:

ა) თუ არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსება ან გადაადგილება იგეგმება იმ ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს ან მდებარეობს უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური და/ან ვიზუალური დაცვის არეალში, განმცხადებელი ვალდებულია მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს წარუდგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის (შემდგომში — არქიტექტურის სამსახური) გადაწყვეტილება;

ბ) თუ იგეგმება არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსება ან გადაადგილება, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახური ვალდებულია, სამინისტროს შესათანხმებლად წარუდგინოს არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის პროექტი, მოდელი და ესკიზი, შესრულებული/შესასრულებელი მასალის მითითებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) თუ მემორიალური დაფის განთავსება იგეგმება შენობა-ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია ან მდებარეობს უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური და/ან ვიზუალური დაცვის არეალში, განმცხადებელმა მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს ვალდებულია წარუდგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.";

ე) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის განხილვის ეტაპის დასრულების და არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების საკითხის სამინისტროსთან შეთანხმების შემდგომ, კომისია თბილისის მერს მიმართავს ერთ-ერთი შემდეგი რეკომენდაციით:

ა) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა ან/და მემორიალური დაფის განთავსების საკითხის მიზანშეწონილად ცნობის შესახებ;

ბ) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და მემორიალური დაფის განთავსების საკითხის მიზანშეუწონლად ცნობის შესახებ.";

ვ) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) იმ პიროვნების, ფაქტის, ისტორიული ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენის უკვდავსაყოფად არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის კვლავ განთავსების საკითხი, რომლის პატივსაგებად თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში უკვე განთავსებულია არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია.";

ზ) მე-6 მუხლს მე-6 პუნქტის შემდგომ დაემატოს 6^1 პუნქტი:

„6^1.ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი არ ვრცელდება არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების საკითხის განხილვაზე, თუ ის უსასყიდლოდ გადაეცემა თბილისის მუნიციპალიტეტს.".

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:

შენიშვნა და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	**5**
წინააღმდეგი	**0**
თავი შეიკავა	**1 (ბარბარა ჯიმელი სულაშვილი)**

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით დადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეოთხე საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს მაკა ნასრაშვილს.

მაკა ნასრაშვილის განმარტებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-27 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესის (შემდგომში - წესი) მოქმედი რედაქციით, დაფინანსებას ექვემდებარება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ 405605484) მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში მიღებული და გამარჯვებული პროექტები.

წესის მოქმედი რედაქციით, სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებს შეზღუდული აქვთ მოქმედების სფერო, ვინაიდან, კონკურსი ცხადდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ დირექტორის ბრძანებით, რომლითაც განსაზღვრულია პროექტის ძირითადი პარამეტრები - ლოკაცია, ბიუჯეტი და განხორციელების ვადები. შესაბამისად, დაინტერესებულ პირებს არ ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი ინიციატივით წარადგინონ პროექტები მათთვის რელევანტურ ლოკაციაზე, მათ მიერ განსაზღვრული ბიუჯეტითა და ვადით. ამგვარი შეზღუდვები უარყოფითად აისახება სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლების შემოქმედებით და ორგანიზაციულ თავისუფლებასა და კულტურული პროექტების განვითარებაზე.

სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლების მაღალი მომართვიანობის გათვალისწინებით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საჯარო ხელოვნების ფონდი“ (ს/ნ 405605484) ვერ უზრუნველყოფს მათ მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსებას კონკურსის გამოცხადების გარეშე. სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ქართველი ხელოვანების მხარდაჭერა და მათი შემოქმედებითი განვითარების წახალისება, რასაც უზრუნველყოფს დაფინანსების ალტერნატიული გზა - საპროექტო განაცხადის წარმოდგენა ხელოვანის მიერ შერჩეულ ლოკაციაზე, განსაზღვრული ვადითა და ბიუჯეტით.

პროექტის განხორციელების ეტაპზე წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გაცემისთვის აუცილებელია საბანკო დაწესებულებიდან საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რაც სირთულეს წარმოადგენს დაფინანსების მიმღები სუბიექტისთვის. პროექტების შეუფერხებელი განხორციელებისთვის, საჭიროა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ განხორციელების წესში წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) მისაღებად დამატებით გათვალისწინებული იქნეს სადაზღვეო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტის წარდგენის შესაძლებლობა.

ცვლილების მიზანია პროექტების განხორციელების გზით ქართველი ხელოვანების მხარდაჭერა და მათი შემოქმედებითი განვითარების წახალისება. ინიციატივა

ითვალისწინებს სახელოვნებო პროექტების დაფინანსებას ხელოვანების მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის საფუძველზე, სადაც ისინი თავად განსაზღვრავენ ლოკაციას, ვადას და ბიუჯეტს.

აგრეთვე, პროექტების შეუფერხებლად განხორციელების და დაფინანსების მიმღები სუბიექტებისთვის სამუშაო პროცესის გასამარტივებლად, წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) მისაღებად საბანკო გარანტიის გამცემად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების გარდა, დამატებით დაშვებული იქნება ალტერნატიული ორგანო - სადაზღვეო დაწესებულება.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-27 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი: 22/05/2023; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.017095) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესის“ (დანართი):

ა) პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამ წესის შესაბამისად, პროექტის დაფინანსების მიზნით, ფონდის დირექტორი ქმნის საპროექტო განაცხადის/საკონკურსო განაცხადის (პროექტების) განმხილველ კომისიას/კომისიებს (შემდგომში - კომისია). კომისისს/კომისიების საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის/კომისიების დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ფონდის დირექტორი.“;

ბ) მე-3 მუხლის:

ბ.ა) დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. საპროექტო განაცხადის/საკონკურსო განაცხადის წარდგენა.“

ბ.ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაფინანსების მისაღებად, წინამდებარე წესით განსაზღვრულმა სუბიექტმა ელექტრონული ფორმით, წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფონდს, რომელსაც უნდა ერთოდეს სრულყოფილად შევსებული საპროექტო განაცხადი/საკონკურსო განაცხადი. საპროექტო განაცხადი/საკონკურსო განაცხადი ორიენტირებული უნდა იყოს თანამედროვე ხელოვნების სფეროს განვითარებაზე. საპროექტო განაცხადს/საკონკურსო განაცხადს, აგრეთვე უნდა ერთოდეს ფონდის დირექტორის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თანადაფინანსების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.“;

ბ.გ) მე-2 პუნქტის შემდგომ დაემატოს 2¹ პუნქტი:

„2¹. საპროექტო განაცხადის ფორმას და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას განსაზღვრავს ფონდის დირექტორი ბრძანებით.“;

ბ.დ) მე-6 პუნქტის შემდგომ დაემატოს 6¹ პუნქტი:

„6¹. ფონდი ამოწმებს საპროექტო განაცხადის დადგენილ ფორმასთან და ამ წესთან შესაბამისობას. თუ დაინტერესებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს ან/და არ არის სრულად წარმოდგენილი ფონდის დირექტორის მიერ განსაზღრული დოკუმენტაცია, ფონდი დაინტერესებულ სუბიექტს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს არანაკლებ 10 (ათი) კალენდარულ დღეს.“;

ბ.ე) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ფონდის მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში საპროექტო განაცხადი/საკონკურსო განაცხადი არ განიხილება.“;

ბ.ვ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი:

„8. თუ პროექტის განხორციელებამდე დარჩენილია 20 (ოცი) კალენდარულ დღეზე ნაკლები, საპროექტო განაცხადი არ განიხილება.“;

გ) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 4. საპროექტო განაცხადის/ საკონკურსო განაცხადის განხილვა და დაფინანსება

„1. თუ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი/საკონკურსო განაცხადი აკმაყოფილებს ამ წესითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ფონდი საპროექტო განაცხადს/საკონკურსო განაცხადს განსახილველად უგზავნის კომისიას. თუ განაცხადის შესწავლისას წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი არ აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს და მოთხოვნებს, განაცხადი კომისიას არ ეგზავნება განსახილველად და განმცხადებელს ეცნობება უარყოფითი პასუხი.

2. საპროექტო განაცხადის/საკონკურსო განაცხადის განხილვისას და დაფინანსების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება განაცხადის შესაბამისობა ამ წესით დადგენილ პრიორიტეტებთან და ფონდის მიზნებთან, მისი განხორციელების საერთო მიზანშეწონილობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის, საპროექტო განაცხადის/საკონკურსო განაცხადის შესაბამისობა წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვასთან, საპროექტო განაცხადის/საკონკურსო განაცხადის ინტელექტუალური ღირებულება, აგრეთვე განმცხადებლის გამოცდილება და უნარი განახორციელოს პროექტი.

3. წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი/საკონკურსო განაცხადი არ უნდა ახდენდეს რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის,

პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციას. დაუშვებელია საპროექტო განაცხადში/საკონკურსო განაცხადში სიძულვილის ენის გამოყენება.

4. შენიშვნის არსებობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია სუბიექტს მოსთხოვოს შესწორებული საპროექტო განაცხადის/საკონკურსო განაცხადის წარდგენა კომისიის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

5. კომისია განაცხადს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის დასრულებიდან არაუგვიანეს 25 (ოცდახუთი) სამუშაო დღის ვადაში.

6. თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადით/საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილი თანხა არ აღემატება 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარს, საპროექტო განაცხადის/საკონკურსო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, იღებს კომისია.

7. თუ წარდგენილი საპროექტო განაცხადით/საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილი თანხა აღემატება 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარს, საპროექტო განაცხადის/საკონკურსო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, კომისია საპროექტო განაცხადის/საკონკურსო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ რეკომენდაციით მიმართავს ფონდის დირექტორს, რათა მან უზრუნველყოს აღნიშნული პროექტის წარდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთვევაში საპროექტო განაცხადის/საკონკურსო განაცხადის დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის/კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

10. ერთი და იმავე სუბიექტის მიერ წარდგენილი საპროექტო განაცხადი შესაძლებელია დაფინანსდეს კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 2-ჯერ. ერთი და იმავე სუბიექტის მიერ საკონკურსო განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ყოველ გამოცხადებულ კონკურსში მხოლოდ ერთხელ.

11. კონკურსის შედეგები საჯაროა.";

დ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) გამოყენება შესაძლებელია, საავანსო თანხის ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადას. საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო ან სადაზღვეო დაწესებულებიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში. დაფინანსების მიმღებმა სუბიექტმა ავანსის თანხა უნდა გამოიყენოს მხოლოდ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.".

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გარდა ამისა, განათლებისა და კულტურის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილება შევიდეს პირველი მუხლის მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ფონდი წესის განხორციელებას უზრუნველყოფს, ფონდის წესდებით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად, საპროექტო განაცხადის განხილვის/კონკურსების ჩატარების გზით, პროექტის დაფინანსებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) ფარგლებში.“

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
შენიშვნა და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	**5**
წინააღმდეგი	**0**
თავი შეიკავა	**1 (ბარბარა ჯიმელი სულაშვილი)**

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით დადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 10) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N25-27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

განათლების და კულტურის კომისიის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე